INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.lsg.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 01 აგვისტო

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის

www.lsg.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
58,82%
53,45%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
0,00%
0,00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60,00%
26,83%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
28,00%
21,43%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
21,05%
24,25%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
7,14%
18,00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0,00%
0,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
0,00%
0,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. სასურველია ინფორმაცია ცენტრის დირექტორის შესახებ მოიძიებოდეს ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში ,,ჩვენს შესახებ“ შესაქმნელ ქვე-განყოფილებაში - ,,ცენტრის დირექტორი“, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას არამარტო ცენტრის დირექტორის სახელის, გვარისა და ელ.ფოსტის მისამართის შესახებ, არამედ დირექტორის ვრცელ ბიოგრაფიულ მონაცემებსა და ფოტოსურათს და იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითებას, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან ცენტრის დირექტორს (ცენტრის მოქმედი დებულების თანახმად ეს არის საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი); აქვე უნდა მოიძიებოდეს ცენტრის დირექტორის კომპეტენციის აღწერა და მისი მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები:

2. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითებით), ფაქსის ნომერი ასევე ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი:

3. ცენტრის მაკონტროლებელი ორგანოს (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო) ოფიციალურ ვებ-გვერდზე გადასასვლელ ბმულზე წვდომა გართულებულია, ვინაიდან ხსენებული ბმული მოიძიება მხოლოდ განყოფილებაზე - „მთავარი“ გადასვლით:

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

4. ცენტრის ვებ-გვერდზე არ არის მოცემული უმეტესობა მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზებისა, კერძოდ: საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ტენდერების, პროგრამებისა და ვაკანსიების არქივი, სტატისტიკური მონაცემები, უმეტესობა ფინანსური ხასიათის მაჩვენებლისა და დონორ ორგანიზაციებთან დადებული შეთანხმებები.

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

5. ცენტრის ვებ-გვერდის განყოფილებებში - „სიახლეები“ და „მოვლენები“ მოყვანილი უკანასკნელი ცნობები თარიღდება 2010 წლის სექტემბრის თვით, რაც საშუალებას არ აძლევს მომხმარებელს გაეცნოს ცენტრის საქმიანობის შესახებ უახლესი საინფორმაციო ხასიათის ცნობებს:

6. ვებ-გვერდზე მოიძიება ცენტრის ძალზედ მოძველებული წლიური ანგარიში (2006 წლის ივლისი - 2007 წლის ივლისი) განყოფილებაში ,,ცენტრის საქმიანობა“, ქვე-განყოფილება - ,,პუბლიკაციები“; სასურველია განყოფილებაში ,,ჩვენს შესახებ“ არსებობდეს ქვე-განყოფილება ,,წლიური ანგარიშები“, სადაც იქნება მოყვანილი ცენტრის შექმნის თარიღიდან მოყოლებული მისი საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში:



7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ ცენტრის საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას. ამასთან, ცენტრის მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაცია მოძიება მხოლოდ ცენტრის წლიურ ანგარიშში, რომლის მოძიებაც ძალზედ რთულია. მაშასადამე, სასურველია ვებ-გვერდზე არსებობდეს სტატისტიკური მაჩვენებლები ბანერის სახით ანდა განცალკევებულ განყოფილებაში.

8. სასურველია ცენტრის ვებ-გვერდზე არსებობდეს ერთიანი (ქვე-)განყოფილება - ,,პროგრამები“, რომელიც მოიცავს იმ სახელმწიფო, მიზნობრივი *და ა.შ.* პროგრამების ჩამონათვალს, რომლის დამკვეთი, შემსრულებელი ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი. მოცემული (ქვე-)განყოფილება აგრეთვე უნდა მოიცავდეს პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებათა შესახებ სრულ ცნობებსა და მათი შესრულების შესახებ მოხსენებებს.

9. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა, ისევე, როგორც ცენტრის მიერ მომზადებული პროგნოზები.

10. ვებ-გვერდზე არ მოიძიება იმ პროექტთა შესახებ შესახებ (ყოველწლიური) ანგარიშები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი. *(პროექტ ,,საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის'' ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი",*

ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) ამომწურავ ჩამონათვალი, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი, რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას.

მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/cegstar_projects0001.pdf).

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

11. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება სათაურად - „კანონმდებლობა“ ან „სამართლებრივი აქტები“, ქვე-განყოფილებაში „ცენტრის დოკუმენტები“ განთავსებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა ძალზედ მწირია. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ცენტრის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს მინისტრებისა და ცენტრის დირექტორის სამართლებრივი აქტები და აგრეთვე სამართლებრივი აქტების პროექტები. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს კონსტიტუცია და ცენტრის საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული სხვა საკანონმდებლო აქტები. ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება ცენტრის შინაგანაწესი. აღსანიშნავია, რომ ცენტრის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული მთავრობის ორი სამართლებრივი აქტის მოიძიება ძალზედ რთულია, ვინაიდან ხსენებული აქტების ბმულები მოიძიება მხოლოდ განყოფილებაზე - „მთავარი“ გადასვლით:

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

12. ცენტრის ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა ცენტრში მიღების წესის აღწერა.

13. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ცენტრის საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და ცენტრში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

14. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ტენდერები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა ცენტრის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია. (*პროექტ **,,საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის'' ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი**", ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას.*

მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/cegstar_shesyidvebi.pdf).

15. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა ცენტრსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე ცენტრსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

16. ვებ-გვერდზე არ არსებობს განყოფილება „ვაკანსიები", რომელშიც მოყვანილ იქნებოდა ცენტრში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (ცენტრის მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

17. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება ცენტრისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება ცენტრის ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია არ მოიძიება ცენტრის ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია . *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა ცენტრის მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) განხორციელებული სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია (სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ბალანსი), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/cegstar_budget0001.pdf);*
- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი ცენტრის კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;

- არ მოიძიება ცენტრის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე). *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, ცენტრისათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა ცენტრის სამსახურის მიერ 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასებისა და ბონუსების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის ცენტრის მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/cegstar_xelfasipremia0001.pdf)*

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ცენტრისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;

- არ მოიძიება შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს ცენტრი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2010 წელს განხორციელებული მონიტორინგის შედეგად მიწოდებული რეკომენდაციები ცენტრის მიერ არ არის გათვალისწინებული, უფრო მეტიც, ვებ-გვერდზე განთავსებული სამართლებრივი აქტების მხრივ მდგომარეობა გაუარესებულია. კერძოდ კი, გასულ წელს ცენტრის ვებ-გვერდზე მოყვანილი იყო განყოფილება „კანონმდებლობა", ხოლო ამ დროისათვის აღნიშნული განყოფილება აღარ არსებობს.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77,78%
2. ძიება
40,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
43,75%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
46,67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
57,89%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
16,67%
10. ელექტრონული სერვისები
9,09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
41,67%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5
0,6
0,7
0,8

- **ძიება**

ძიების შემდეგ, ერთ-ერთ ინფორმაციის არჩევის შედეგად გამოდის ცარიელი გვერდი:



- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდზე გამოიყენება სპეციალური ფონტი, რის გამოც თუ ოპერაციულ სისტემაში არ აღმოჩნდა შესაბამისი ფონტი ვებ-გვერდის მენიუ არ იკითხება:

თუ არსებობს აუცილებლობა, იმისა, რომ ვებ-გვერდში გამოვიყენოთ სპეციალური ფონტი, CSS-ის მეშვეობით უნდა მივუთითოთ მეორე და მესამე ხარისხოვანი ფონტები, ანუ თუ ზემოთ აღნიშნული ფონტი არ აღმოჩნდა ოპერაციულ სისტემაში, ჩაიტვირთება მეორე ხარისხოვანი ფონტი, თუ ეს უკანასკნელიც არ აღმოჩნდა მაშინ ჩაიტვირთება მესამე ხარისხოვანი ფონტი.

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

გაურკვეველია ინგლისურ ვერსიაში შემდეგი გვერდის დანიშნულება:



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდის რუკაში დაშვებულია სინტაქსური შეცომები - სიტყვები არ ბოლოვდება და დაბოლოებასთან ერთად ჩნდება გაურკვეველი სიმბოლოები:

საიტის საკონტაქტო გვერდში დარღვეულია სტრუქტურა:

ლოგოზე დაჭერით ინგლისური ვერსიიდან გადავდივართ ქართულ ვერსიაში. აუცილებელია, რომ მთავარ სიმბოლიკაზე ან ლოგოზე დაჭერით სისტემამ შეინარჩუნოს არჩეული ენა:

ვებ-გვერდის მარჯვენა მხარეს დარღვეულია სტრუქტურა:

- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

ვებ-გვერდი არ არის ინტეგრირებული სოციალურ ქსელებთან. ამავე დროს ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის Facebook-ზეც არ აქვს გახსნილი ოფიციალური გვერდი.

- **დამატებითი პარამეტრები**

ვებ-გვერდზე, რამოდენიმე გვერდის მონახულების შემდეგ აღმოჩნდა, რომ lsg.gov.ge-დან ხდება გადამისამართება დაწესებულების ძველ რესურსზე www.cegstar.ge-ზე:



აღსანიშნია ის ფაქტი, რომ არსებობს ორი ერთი და იმავე შინაარსის მქონე ვებ-გვერდი, რომელთაც Title-ი (ანუ ვებ-გვერდის სახელი (სათაური) განსხვავებულია, მისამართებიც განსხვავებულია, შესაბამისად, საძიებო სისტემები აღიქვავენ როგორც სხვა და სხვა ვებ-გვერდს, რაც შეცდომაა.

ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდი დამზადებულია ძველი სტანდარტებით, საჭიროა მისი გათანამედროვება, ინტეგრაცია სოციალურ ქსელებან, საძიებო სისტემებში ოპტიმიზაცია, ონლაინ სერვისების დამატება და ბევრი სხვა რამ. გარდა ამისა, არსებულ ვებ-გვერდზე არსებობს რიგი ხარვეზებისა - სტრუქტურის მოშლა, ინფორმაციის არ არსებობა და სხვა გაუთვალისწინებელი მომენტები, რომლებიც საჩქაროდ უნდა გასწორდეს.